გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 147

2024 წლის 13 სექტემბერი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" (ს/კ 218081590) 2023 წლის სექტემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" (ს/კ 218081590) 2023 წლის სექტემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" (ს/კ 218081590) 2023 წლის სექტემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ფინანსური ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 3 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

საქართველო
ა(ა)ი პ „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი"

ს/კ 218081590

GEORGIA
N.I.P. "THE CENTRE CARE OF
PUBLIC HEALTH OF GORI
MUNICIPALITY"

1400 გორი- სტალინის ქ. №2
ტელ 0(370) 27-46-84, 27-46-85.
ელ. ფოსტა Gori.jandacva@gmail.com

1400 GORI, STALIN AVE 2
TEL: 0370) 27-46-84, 27-46-85.

№ 76

23 აგვისტო, 2024 წელი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ დავით რაზმაძეს

თქვენი წერილის (21-212422512, 12/08/2024) პასუხად, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" წარმოგიდგენთ 2023 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ფინსანსურ ანგარიშს.

დანართი 2 ფურცლად.

პატივისცემით,
ა.(ა).ი.პ. „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"ს
დირექტორი: მ. ვიუნაშვილი

მ ვიუნაშვილი

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს
2023 წლის სექტემბრის თვიდან განვლილი პერიოდის ფინანსური ანგარიში

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს 2023 წლის მიზნობრივი ტრანსფერით გამოყოფილი ჰქონდა 221 000 ლარი. გასული წლის საანგარიშგებო პერიოდში (IX-XII თვ.) ცენტრში დასაქმებული იყო სულ 19 თანამშრომელი (12 - შტატით, 7 - შტატგარეშე). ჯანდაცვითი პროგრამების შესრულების მიზნით (მ.შ. „ C " ჰეპატიტის, აივ ინფექცია შიდსისა და ტუბერკულოზის სკრინინგის განხორციელება), აღნიშნულ პერიოდში ბიუჯეტიდან მიღებული 80 418.04 ლარის ხარჯვა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით განხორციელდა შემდეგნაირად:

- შრომის ანაზღაზღაურების ხარჯი სულ 71 870.84 ლარი (შტატით მომუშავეთა ანაზღაურება - 54 782.29 , ხოლო შტატგარეშე - 17 088.55 ლარი), საიდანაც, 11 901.60 ლარი წარმოადგენს თანამშრომელთა მატერიალური წახალისების მიზნით გაცემულ პრემიას.
- სამივლინებო თანხა ქვეყნის შიგნით - 360 ლარი;
- ოფისის ხარჯი (საკანცელარიო, კავშირგაბმულობის, კომუნალური, სანიტარული და სხვა) 5 600.77 ლარი;
- ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი - 1 957.43 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 629 ლარი .

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2024 წლის 12 აპრილის N121 / N25/ნ ერთობლივი ბრძანების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის, 2024 წლის დელეგირებული ტრანსფერით, განისაზღვრა 318 900 ლარი, ასევე განისაზღვრა სტრუქტურული, საშტატო ერთეულების და სახელფასო ფონდის (საბაზო თანამდებობრივი სარგოს მიხედვით) რაოდენობა, რამაც შეადგინა 14 შტატით მომუშავე და ერთი სეზონური საშტატო ერთეული.

მიმდინარე წლის საანგარიშგებო პერიოდში (I-VIII თვ.), საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი ჯანდაცვითი პროგრამების შესრულების მიზნით, ბიუჯეტიდან მიღებული აქვს 173 674.65 ლარი, საიდანაც,

- შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 160 902.89 ლარი (მ.შ., თანამშრომელთა პრემირებისთვის გაიცა 1430 ლარი);
- სამივლინებო ხარჯი - 660 ლარი;
- საოფისე ხარჯი (საკანცელარიო, კავშირგაბმულობის, კომუნალური, სანიტარული და სხვა) - 7 844.83 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი - 534 ლარი;
- ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი - 2 650.42 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა (ბიულეტინი) - 288.91;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 793.60 ლარი.

გარდა მიზნობრივი ტრანსფერით გამოყოფილი დაფინანსებისა, ჯანდაცვის ცენტრს საანგარიშგებო პერიოდში, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულებების („ეპიდზედამხედველობის“, „იმუნიზაციის“, „ტუბერკულოზის მართვის“ სახელმწიფო პროგრამების მომსახურებისთვის, ასევე, „თამბაქოს პროდუქტებით ვაჭრობის და მოწევის აკრძალვა-შეზღუდვის მონიტორინგის“ განსახორციელებლად), თანახმად მიღებული

20 208.20 ლარი (2023 წლს - 11 667 ლარი და 2024 წელს - 8 541.20 ლარი) ხარჯვით ნაწილში აისახა შემდეგნაირად:

- შრომის ანაზღაურება - 13 655.50 ლარი;
- მივლინება ქვეყნის შიგნით - 360 ლარი;
- ოფისის ხარჯი (საკანცელარიო, კავშირგაბმულობის, კომუნალური, სანიტარული და სხვა) 4 364.70 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი - 300 ლარი;
- ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი - 320 ლარი;
- არაფინანსური აქტივების (სამედიცინო დანიშნულების ავეჯი) შეძენის ხარჯი - 1 208 ლარი.

ა.(ა).ი.პ. „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"ს
დირექტორი: მ. გიუნაშვილი

მ.გიუნაშვილი